1961/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 26 (149) 20 სექტემბერი 1961 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

401. შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და კუბის რესპუბლიკას შორის.
402. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირ—სომალის სავაჭრო და საგადასახადო შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

განყოფილება მეორე

403. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვოლგის ჰიდროელექტროსადგურისათვის სკკპ XXII ყრილობის სახელის მინიჭების შესახებ.
404. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის შენებლებისა და მემონტაჟეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
405. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ლენინის ორდენის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მთავარ რეჟისორ ბ. ა. პოკროვსკისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის სპპატონი წოდების მინიჭების შესახებ.
406. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ივანე ფრანკოს სახელობის ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
407. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ს. ი. ჟუკის სახელობის ინსტიტუტ „გიდროპროექტის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
408. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სტალინგრადგიდროსტროის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
409. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სტალინგრადგიდროსტროის უფროსის სოციალისტური შრომის გმირის ამხ. ა. პ. ალექსანდროვის „ნამგალი და ურის“ მეორე ოქროს medlით დაჯილდოების შესახებ.

1749

410. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „გიდრომექანიზაციის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

411. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „გიდროელექტრომონტაჟის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

412. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგების ი. გ. ბელოვის, პ. ვ. დენისენკოსა და ვ. ნ. ლისენკოს მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

413. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ფ. დიორდიცას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

414. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს პ. ს. ნოვიკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

415. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ი. მ. ვინოგრადოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

416. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არტილერიის მთავარი მარშლის ს. ს. ვარენცოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ტ. ულჯაბაევის, პ. ს. ობნოსოვის, ხ. იბრაგიმოვის, ნ. დოდხუდოევისა და ს. კოშჩანოვის გაწვევის შესახებ.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

417. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

418. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სახალხო სასამართლოების გაერთიანების შესახებ.

419. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 22 აგვისტოს დადგენილების შესახებ „იმ ღონისძიებათა თაობაზე, რაც დაკავშირებულია ლიტვის სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან“.

420. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ახალციხის რაიონის სოფელ ადიგენის დაბად გარდაქმნის შესახებ.

421. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ახალციხის რაიონის სოფელ ასპინძის დაბად გარდაქმნის შესახებ.

422. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ახალქალაქის რაიონის სოფელ ბოგდანოვკის დაბად გარდაქმნის შესახებ.

423. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ხობის რაიონის ნოჯიხევის სასოფლო საბჭოს სოფელ მეორე ხობისა და ხობის სასოფლო საბჭოს სოფელ ხობის გაერთიანების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

424. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

401 კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და კუბის რესპუბლიკას შორის

ისწრაფვიან რა მეგობრული კავშირის განმტკიცებისა სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის ხალხებს შორის ურთიერთგაგების მიღწევისაკენ, სსრ კავშირის მთავრობამ და კუბის რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს ორივე ქვეყანას შორის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის განვითარების პრინციპებს.

მუხლი 1

შეთანხმების დამდები მხარეები ყოველმხრივ განამტკიცებენ და განავითარებენ კულტურულ და მეცნიერულ თანამშრომლობას სუვერენიტეტის, თანასწორუფლებიანობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების პატივისცემის საფუძველზე.

მუხლი 2

შეთანხმების დამდები მხარეები განახორციელებენ გამოცდილებისა და მიღწევათა გაცვლას მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, განათლების დარგში დელეგაციებისა და ცალკეული სპეციალისტების გაგზავნის, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე ინფორმაციებისა და მასალების ურთიერთ მიწოდების, გამოფენათა, კონცერტების ორგანიზაციის, მსახიობთა კოლექტივების ურთიერთშორის გაცვლის გზით და ა. შ.

მუხლი 3

შეთანხმების დამდები მხარეები ნაცვალგებით გასცემენ სასწავლო სტიპენდიებს უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში იმ სპეციალობებზე, რომლებზეც ისინი შეთანხმდებიან.

მუხლი 4

შეთანხმების დამდები მხარეები კისრულობენ განამტკიცონ თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის პრესის, კინოს, რადიოსა და ტელეხედვის დარგში ჟურნალისტების, რადიოს, ტელეხედვისა და კინოს მუშაკთა დელეგაციების

გაცვლის გზით, ხელი შეუწყონ ეროვნული ფილმების ურთიერთშორის გავრცელებას, კინოფესტივალების მოწყობას, აგრეთვე ურთიერთ შორის კინოფილმების გაცვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 5

შეთანხმების დამდები ორივე მხარე ხელს შეუწყობს თავიანთ ეროვნულ ბიბლიოთეკებს, მუზეუმებსა და სხვა მსგავს დაწესებულებებს შორის კონტაქტებს.

მუხლი 6

შეთანხმების დამდები ორივე მხარე შეთანხმდა შექმნან ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობები იმ წიგნებისა და ბროშურების სათარგმნელად, რომლებიც გამოსცა მეორე მხარემ მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში.

მუხლი 7

შეთანხმების დამდები თითოეული მხარე წაახალისებს სპორტული დელეგაციების გამგზავრებას მეორე ქვეყანაში მეგობრული შეჯიბრებების ჩასატარებლად და ხელს შეუწყობს იმ სპორტულ ორგანიზაციებს შორის კავშირს, რომლებიც ორივე ქვეყანაში ოფიციალურად არიან ცნობილი.

მუხლი 8

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას თითოეულ ქვეყანაში არსებული კონსტიტუციური წესის შესაბამისად. შეთანხმება ძალაში შევა დღიდან სარატიფიკაციო სიგელების გაცვლისა, რომელიც მოხდება ქალაქ ჰავანაში.

შეთანხმების ყოველი ცვლილება კანონიერ ძალაში შევა მას შემდეგ, როცა მას ხელს მოაწერს ორივე მხარის წარმომადგენელი.

თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ამ შეთანხმების მოქმედება მეორე მხარისათვის შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შესახებ წერილობითი ცნობის გაგზავნის გზით. შეთანხმება ძალადაკარგულად ჩაითვლება ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ასეთი ცნობის ჩაბარების დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ.

დადებულია მოსკოვში 1960 წლის 12 დეკემბერს ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და ესპანურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მაგიერ,	**კუბის რესპუბლიკის მთავრობის მაგიერ**
გ. ჟუკოვი.	**ე. გევარა.**

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1961 წლის 30 ივნისს; კუბის პრეზიდენტის მიერ — 1961 წლის 6 ივნისს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა ჰავანაში 1961 წლის 29 ივნისს.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

402 საბჭოთა კავშირ-სომალის სავაჭრო და საგადასახადო შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი სავაჭრო და საგადასახადო შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და სომალის რესპუბლიკას შორის, ხელმოწერილი მოსკოვში 1961 წლის 2 ივნისს, **რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 11 სექტემბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

403 ვოლგის ჰიდროელექტროსადგურისათვის სკკპ XXII ყრილობის სახელის მინიჭების შესახებ

მიენიჭოს სკკპ XXII ყრილობის სახელი სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურს და ამიერიდან მას ეწოდოს **ვოლგის სკკპ XXII ყრილობის სახელობის ჰიდროელექტროსადგური.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

404 სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებისა და მემონტაჟეებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის, ჰიდრონაგებობათა, ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობასა და მოწყობილობის მონტაჟში ახალ ტექნიკურ გადაწყვეტათა და შრომის პროგრესული მეთოდების შემუშავებისა და დანერგვის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირის წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი „**ნამგალი და ურო**“:

1. ალექსი ვასილის ძე **დენეუონკოვს** — ტრესტ „ვოლგელექტროსეტს-ტროის“ ელექტროსაზის მუშაკს.

2. ილია გერასიმეს ძე **დემენკოს** — მებეტონთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

3. ალექსი იაკობის ძე **კუზნეცოვს** — სტალინგრადგიდროსტროის ყოფილ მთავარ ინჟინერს.

4. ანდრია ვასილის ძე **მიხაილოვს** — სტალინგრადის ჰიდროელექტრო-სადგურის პროექტის მთავარ ინჟინერს.

5. იაკობ კირილეს ძე **მუზიკას** — შოფერს.

6. იოსებ პეტრეს ძე **სტრიუენოკს** — ტრესტ „გიდროელექტრომონტაჟის“ ელექტრომემონტაჟთა ბრიგადირს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

405 სსრ კავშირის ლენინის ორდენის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მთავარ რეჟისორ ბ. ა. პოკროვსკისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის ლენინის ორდენის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მთავარ რეჟისორ ბორის ალექსანდრეს ძე **პოკროვსკის** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

406 ივანე ფრანკოს სახელობის ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაარსების 300 **წლისთავის** გამო და **სამეცნიერო-პედაგოგიური** კადრ**ების, კულტურისა** და **სახალხო** მეურნეობის **სპეციალისტების** მომზადებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოპოვებული წარმატებებისათვის ივანე ფრანკოს სახელობის **ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 სექტემბერი,

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

407 სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ს. ი. ჟუკის სახელობის ინსტიტუტ „გიდროპროექტის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მსხვილ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დაპროექტებაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის და სტალინგრადისა და კრემენჩუგის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს **ს. ი. ჟუკის** სახელობის **საკავშირო საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „გიდროპროექტი“** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

408 სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს სტალინგრადგიდროსტროის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მდინარე ვოლგაზე სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და სამამულო ჰიდროენერგომშენებლობის განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს **„სტალინგრადგიდროსტროის“ მშენებლობის სამმართველო** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

409 სტალინგრადჰიდროსტროის უფროსის სოციალისტური შრომის გმირის ამხ. ა. პ. ალექსანდროვის „ნამგალი და ურო“ მეორე ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ

თავდადებული შრომისა და სტალინგრადის ჰიდროკვანძის მშენებლობის უნარიანი ხელმძღვანელობისათვის სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს „სტალინგრადჰიდროსტროის“ მშენებლობის სამმართველოს უფროსი სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ალექსანდრე პეტრეს ძე ალექსანდროვი დაჯილდოებულ იქნას **„ნამგალი და უროს“ მეორე ოქროს მედლით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

410 სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ჰიდრომექანიზაციის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მიწის კაშხალების ჰიდრომექანიზაციის წესით აგების ტექნიკის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის და სტალინგრადისა და კრემენჩუგის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს **ტრესტი „ჰიდრომექანიზაცია“** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

411 სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „ჰიდროელექტრომონტაჟის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ელექტრული მოწყობილობის მონტაჟის ტექნიკის განვითარებაში დიდი მიღწევებისათვის და სტალინგრადისა და კრემენჩუგის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს **ტრესტი „ჰიდროელექტრომონტაჟი“** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

412 ამხანაგების ი. ბ. ბელოვის, პ. ვ. დენისენკოსა და ვ. ნ. ლისენკოს მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საბრძოლო მასალების საწყობის უვნებელყოფის დროს გამოჩენილი გმირობისა და თავგანწირულობისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

მედლით „მამაცობისათვის“

1. ივანე გიორგის ძე **ბელოვი.**
2. პავლე ვასილის ძე **დენისენკო.**
3. ვასილ ნიკიფორეს ძე **ლისენკო.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

413 ამხ. ა. ფ. დიორდიცას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურების გათვალისწინებით მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ალექსანდრე ფილიპეს ძე **დიორდიცა** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 11 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

414 აკადემიკოს პ. ს. ნოვიკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მათემატიკის დარგში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცი წლისთავის გამო აკადემიკოსი პეტრე სერგის ძე **ნოვიკოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 11 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

415 აკადემიკოს ი. მ. ვინოგრადოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მათემატიკის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო აკადემიკოსი ივანე მათეს ძე **ვინოგრადოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 13 სექტემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

416 არტილერიის მთავარი მარშლის ს. ს. ვარენცოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე დამსახურებისათვის არტილერიის მთავარი მარშალი სერგი სერგის ძე **ვარენცოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 14 ოქტომბერი.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურისა და ელექტროგადამცემი ხაზის სტალინგრადის ჭესი — მოსკოვი მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სტალინგრადგიდროსტროის, სამშენებლო, სამონტაჟო, საპროექტო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციებისა და საწარმოების 2013 მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: სტალინგრადგიდროსტროის მუშაკები — სტალინგრადგიდროსტროის მთავარი ინჟინერი ი. ს. აბრამოვი, შოფერი ვ. ნ. ანდრეიჩიკოვი, მებულდოზერე ვ. გ. ბოლგოვი, ელექტროშემდუღებელი ა. ი. ვასილიევი, მემონტაჟეთა ბრიგადირი გ. ნ. იგნატენკო, შემდუღებელი რ. მ. კუპრიკი, სამშენებლო სამმართველოს უფროსი გ. ფ. მასლოვსკი, ამწეს მემანქანე მ. ი. მოსულიშვილი, ექსკავატორის მემანქანე ნ. ტ. სიჩოვი, მებეტონეთა ბრიგადირი ი. ფ. ფალალეევი; ტრესტ „გიდრომონტაჟის“ მე-

მონტაჟეთა ბრიგადირი კ. ა. აბრამოვი, ტრესტ „სპეცგიდროენერგომონტაჟის“ სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი ი. მ. კაზიურა, ტრესტ „ცენტროელექტრო-სეტსტროის“ სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომონტიორი ა. გ. კოზირევი, ს. ი. ჟუკის სახელობის ინსტიტუტ „გიდროპროექტის“ მთავარი ინჟინრის მოადგილე ა. ნ. ჩემინი და სხვები — სულ 64 კაცი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 285 კაცი, **„საპატიო ნიშნის“ ორდენით** — 448, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 761 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 455 კაცი.

* * *

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირმა შეასრულა იემენის აჰმედის საზღვაო ნავსადგურის მშენებლობის ვალდებულებანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 35 საბჭოთა სპეციალისტი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნავსადგურის მშენებლობაზე.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული არიან: მიწახაპია ქარავნის უფროსი ბ. ლ. დიდენკო, ზეინკალ-მემონტაჟე ი. ი. კრავჩენკო, ელექტროგაზშემდუღებელი ა. გ. რიბაკოვი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებული არიან: ხარატი ა. მ. ალესკეროვი, უფროსი ინჟინერი ს. ი. გოლოვინი, მეურნალე-მოტორისტი ზ. ფ. კეპი, მექანიკური სახელოსნოების ტექნიკური ხელმძღვანელი ბ. ვ. ლიკოვი, ნავსადგურის მონტაჟის ჯგუფის მთავარი ინჟინერი ა. მ. ნიკოლაევი, ინჟინერჰიდროტექნიკოსი ა. მ. ფეოდოროვი და საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფის მთავარი ინჟინერი ნ. ს. ხმელიოვი.

მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** დაჯილდოებულია 11 კაცი, მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** 14 კაცი.

ც ნ ო ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ტ. ულჯაბაევის, პ. ს. ობნოსოვის, ხ. იბრაგიმოვის, ნ. დოდხუდოევისა და ს. კოშჩანოვის გაწვევის შესახებ

1961 წლის 30 ივლისიდან 5 აგვისტომდე მიმდინარეობდა კენჭისყრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ტ. ულჯაბაევის, პ. ს. ობნოსოვის, ხ. იბრაგიმოვის, ნ. დოდხუდოევის გაწვევის შესახებ და 4 აგვისტოდან 8 აგვისტომდე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ს. კოშჩანოვის გაწვევის შესახებ.

კენჭისყრა გაწვევის შესახებ მიმდინარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ კანონის შესაბამისად.

გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიების ცნობით კენჭისყრის შედეგების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობიდან გაწვეული არიან:

ტურსუბნაი **ულჯაბაევი**, კავშირის საბჭოს დეპუტატი ტაჯიკეთის სსრ ლენინაბადის № 713 საქალაქო საარჩევნო ოლქიდან;

პეტრე სტეფანეს ძე **ობნოსოვი**, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი ტაჯიკეთის სსრ დანგარის № 282 საარჩევნო ოლქიდან;

ხალიკ **იბრაგიმოვი**, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი ტაჯიკეთის სსრ შახრისტანის № 291 საარჩევნო ოლქიდან;

ნაზარშო **დოდხუდოევი**, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი ტაჯიკეთის სსრ ორჯონიკიძეაბადის № 298 საარჩევნო ოლქიდან;

საფარ **კოშჩანოვი**, ეროვნებათა საბჭოს დეპუტატი თურქმენეთის სსრ კალინინის № 349 საარჩევნო ოლქიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

ყაზახეთის სსრ

სოფელ აბაი-ბაზარის გადარქმევა

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით სამხრეთ-ყაზახეთის ოლქის კელესის რაიონის ცენტრი სოფელი აბაი-ბაზარი გადარქმეულია სოფელ **აბაიდ**.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

417 საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულებისა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების 28 მუხლისათვის დამატების შესახებ“ და 1961 წლის 1 ივლისის ბრძანებულებასთან „სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 24 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, მის სრულ გაუქმებამდე დაშვებულია სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება სამშობლოს ღალატისათვის (მუხლი 65), ჯაშუშობისათვის (მუხლი 66), ტერორისტული აქტისათვის (მუხლები 67, 68), დივერსიისათვის (მუხლი 69), ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78), ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გასაღების მიზნით დამზადებისა ან გასაღებისათვის, რაც ხელობადაა გადაქცეული (88 მუხლის მეორე ნაწილი), სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდებით სპეკულაციისათვის ხელობის სახით ან დიდი ოდენობით, სავალუტო ოპერაციების შესახებ წესების დარღვევისათვის იმ პირის მიერ, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდებით სპეკულაციისათვის ან სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის (89 მუხლის მეორე ნაწილი), განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 104 და 258 მუხლის „გ“ პუნქტი), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის (მუხლი 96[1]), ხოლო ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში — სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, იმ შემთხვევებში, რომლებიც სპეციალურადაა გათვალისწინებული სსრ კავშირის კანონმდებლობით“.

2. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 89 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქაღალდებით სპეკულაცია ხელობის სახით ან დიდი ოდენობით, აგრეთვე სავალუტო ოპერაციის შესახებ წესების დარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ამ მუხლის პირველი ნაწილით იყო მსჯავრდებული, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გასახლებით, ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გასახლების გარეშე, ან სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 246 მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„იგივე მოქმედება, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგები, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე“.

4. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32 მუხლში 90[1] მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს „96[1]“.

5. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125 მუხლს დაემატოს და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 125. წინასწარი გამოძიების ორგანოები

სისხლის სამართლის საქმეების წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის გამომძიებლები, ხოლო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 65 (სამშობლოს ღალატი), 66 (ჯაშუშობა), 67 (ტერორისტული აქტი), 68 (ტერორისტული აქტი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ), 69 (დივერსია), 70 (მავნებლობა), 71 (ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა), 73 (ორგანიზაციული საქმიანობა, მიმართული განსაკუთრებით სამშობლო სახელ-

მწიფო დანაშაულის ჩადენისაკენ, აგრეთვე ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობა), 74 (განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, ჩადენილი მშრომელთა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ), 76 (სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება), 77 (სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა), 79 (კონტრაბანდა), 80 (მასობრივი არეულობა), 84 (უკანონო წასვლა საზღვარგარეთ და უკანონო შემოსვლა სსრ კავშირში), 85 (საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა), 89 (სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა), 90 (იმ ნაწილში, რაც ეხება სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობას, გათვალისწინებულს 65—70 და 73 მუხლებით), 90[1] (იმ ნაწილში, რაც ეხება სახელმწიფო დანაშაულის დაფარვას გათვალისწინებულს 65—70, 73, 79 და 89 მუხლებით), და 277 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით (სამხედრო საიდუმლოების გახმაურება ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტის დაკარგვა) გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებზე — აგრეთვე სახელმწიფო უშიშროების ორგანოების გამომძიებლები“.

6. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 304 მუხლს დაემატოს მე-10 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„10) თუ პირს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა რომელი სახის შრომაგასწორების კოლონიაში უნდა მოიხადოს სასჯელი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 16 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

418 ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სახალხო სასამართლოების გაერთიანების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების გაერთიანებასთან დაკავშირებით გაერთიანდეს ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სახალხო სასამართლოები ერთ — ახალქალაქის რაიონის სახალხო სასამართლოდ.

2. ახალქალაქის რაიონის სახალხო სასამართლო განისაზღვროს ადრე არჩეული 2 სახალხო მოსამართლისა და 140 სახალხო მსაჯულის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 16 სექტემბერი.

419 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 22 აგვისტოს დადგენილების შესახებ „იმ ღონისძიებათა თაობაზე, რაც დაკავშირებულია ლიტვის სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 22 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს უზრუნველყოს აუცილებელი მონაცემების წარდგენა განაჩენის გამომტან სასამართლოებისათვის იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან ლიტვის სსრ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის და სასჯელს იხდიან საქართველოს სს რესპუბლიკაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 16 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

420 ახალციხის რაიონის სოფელ ადიგენის დაბად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას ახალციხის რაიონის სოფელი ადიგენი დაბად და ადიგენის სასოფლო საბჭო — ადიგენის სადაბო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 16 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

421 ახალციხის რაიონის სოფელ ასპინძის დაბად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას ახალციხის რაიონის სოფელი ასპინძა დაბად და ასპინძის სასოფლო საბჭო — ასპინძის სადაბო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 16 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

422 ახალქალაქის რაიონის სოფელ ბოგდანოვკის დაბად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გარდაიქმნას ახალქალაქის რაიონის სოფელი ბოგდანოვკა დაბად და ბოგდანოვკის სასოფლო საბჭო — ბოგდანოვკის სადაბო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 16 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

423 ხობის რაიონის ნოჯიხევის სასოფლო საბჭოს სოფელ მეორე ხობისა და ხობის სასოფლო საბჭოს სოფელ ხობის გაერთიანების შესახებ

ტერიტორიულად შეზრდის გამო გაერთიანდეს ხობის რაიონის ნოჯიხევის სასოფლო საბჭოს სოფელი მეორე ხობი და ხობის სასოფლო საბჭოს სოფელი ხობი ერთ სოფლად და ეწოდოს სოფელი ხობი.

სოფელი ხობი ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ხობის სასოფლო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 16 სექტემბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

424 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით **დაჯილდოებულ იქნან:**

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“

1. ზაქარია ალექსანდრეს ძე **ბოლოთაევი** — ქ. რუსთავის № 13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე

2. ალექსი პავლეს ძე **ბურმისტროვი** — ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საუწყებო გასამხედროებული სახანძრო რაზმის ცალკე საგუშაგოს უფროსი

3. ანდრია გიორგის ძე **გუჩმაზოვი** — ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საუწყებო გასამხედროებული სახანძრო რაზმის უფროსის მოადგილე

4. აიკაზ ოგანეზის ძე **ეგიაზარიანი** — ქ. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დაცვის № 13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი

5. შაქრო ალექსის ძე **თუშიშვილი** — ქ. თბილისის № 3 დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური

6. ივანე დიმიტრის ძე **ლიუკშინი** — ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საუწყებო გასამხედროებული სახანძრო რაზმის ათეულის მეთაური

7. პეტრე დიმიტრის ძე **მალცევი** — ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საუწყებო გასამხედროებული სახანძრო რაზმის უფროსი

8. გიორგი ისაკის ძე **მგელაძე** — ქ. თბილისის გასამხედროებული სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი

9. სერგი სარიბეგის ძე **ნალაპეტიანი** — ქ. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დაცვის № 13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური

10. პეტრე იაგორის ძე **პარასტაევი** — ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საუწყებო გასამხედროებული სახანძრო რაზმის მეხანძრე

11. გიორგი სიკოს ძე **შანშიაშვილი** — ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საუწყებო გასამხედროებული სახანძრო რაზმის უფროსი მეხანძრე

12. ვლადიმერ ივანეს ძე **ცინაძე** — ქ. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დაცვის № 13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ათეულის მეთაური

13. შოთა გიორგის ძე **ძამაშვილი** — ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის საამქროს ზეინკალი

14. დიმიტრი მიხეილის ძე **ჭამიაშვილი** — ქ. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დაცვის № 13 გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე

15. გივი ელისეს ძე **ხუხუნაშვილი** — ქ. რუსთავის სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ინსპექციის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 16 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებით დააჯილდოვა **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით 196 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		— 13
ახალქალაქის	რაიონიდან	— 12
ახალციხის	„	— 15
გორის	„	— 11
დუშეთის	„	— 12
თელავის	„	— 5
ქ. ჭიათურიდან		— 60
ზუგდიდის	რაიონიდან	— 15
ლანჩხუთის	„	— 4
მახარაძის	„	— 14
სიღნაღის	„	— 9
წალკის	„	— 26